



პორშე სპორტ ჩელენჯი 2019 (ტექნიკური მოთხოვნები)



დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2019 წელი

1. რბოლაზე დაშვებული ავტომობილები

1.1. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ Porsche-ს მარკის ავტომობილს, რომელიც აკმაყოფილებს საერთო სარგებლობის გზებზე მოძრაობის ნორმებს, FIA-ს დანართი J-ის და სსსფ-ის ტექნიკურ მოთხოვნებს. ყველა მონაწილემ, რომელიც მონაწილეობს შეჯიბრებაში უნდა წარმოადგინოს სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა, ან სსსფ-ს, ან სხვა ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული „სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი“ იმ ავტომობილისთვის, რომლითაც მონაწილეობს შეჯიბრებაში.

1.2. შეჯიბრებაზე რეგისტრირებული ავტომობილები დაიყოფიან შემდეგ კლასებად:

Class A

Porsche-ს მარკის ავტომობილები, A კლასში დაიშვება Porsche-ს მარკის მსუბუქი ავტომობილები არაუმეტეს 475 ცხენის ძალისა (გამონაკლისია 997.1 ტურბო). ნებისმიერი ძრავის და სიმძლავრის მქონე ავტომობილი, რომელიც გამზაებულია რბოლისთვის, იგულისხმება წონის შემცირება, ავტომატურად მოხვდება ამ კლასში. დაშვებულია ნებისმიერი სახის მოდიფიკაცია და „ტუნინგი“. კლასში საბურავზე შეზღუდვა არ არის (მათ შორის არც სლიკზე).

Class B

Porsche-ს მარკის B კლასში დაიშვება Porsche-ს მარკის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა სიმძლავრე მეტია 356 ცხენის ძალაზე და არ აღემატება 474 ცხენის ძალას. დასაშვებია მსუბუქი მოდიფიკაციები (სამუხრუჭე სისტემა, დაკიდება, გამონაბოლქვის სისტემა და ა.შ). დასაშვებია საბურავები, რომელთა ცვეთის მიმართ მდგრადობის ინდექსი არ არის ნაკლები 180-ზე.

Class C

Porsche-ს მარკის C კლასში დაიშვება Porsche-ს მარკის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 355 ცხენის ძალას. დასაშვებია მსუბუქი მოდიფიკაციები (სამუხრუჭე სისტემა, დაკიდება, გამონაბოლქვის სისტემა და ა.შ). დასაშვებია საბურავები, რომელთა ცვეთის მიმართ მდგრადობის ინდექსი არ არის ნაკლები 200-ზე.

Class D

Porsche-ს მარკის კლასიკური ავტომობილები, D კლასში დაიშვება Porsche-ს კლასიკად ქცეული ავტომობილები, რომლებიც წარმოებულია 1996 წლამდე. დაიშვებიან როგორც სედანის ტიპის, ასევე მაღალი გამავლობის ავტომობილები. დაიშვებიან მოდელები Boxster/Cayman, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 299 ცხენის ძალას. დასაშვებია მსუბუქი მოდიფიკაციები (სამუხრუჭე სისტემა, დაკიდება, გამონაბოლქვის სისტემა და ა.შ). დასაშვებია საბურავები, რომელთა ცვეთის მიმართ მდგრადობის ინდექსი არ არის ნაკლები 200-ზე.

1.3. ყოველი სარბოლო ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებს. ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვება შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლიან ტექნიკური კომისრები

1.4. ჩემპიონატის მსვლელობის დროს ფედერაციის უფლებამოსილ პირს, ტექნიკურ კომისარს, სპორტულ კომისარს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებისმიერი მონაწილის ავტომობილი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მრბოლელი ვალდებულია საკუთარი ძალებით მოახდინოს კომისრების მიერ მოთხოვნილი დეტალების დემონტაჟი, ან საჭიროების შემთხვევაში, მონტაჟი. მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება წლის განმავლობაში მიღწეული შედეგი და ჩამოერთმევა მრბოლელის ლიცენზია, ან ლიცენზიის არქონის შემთხვევაში, შეეფარდება დისკვალიფიკაცია.

1.5. ავტომობილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, რაც შეიძლება გახადოს რბოლიდან გამოსვლის მიზეზი, ან ავტომობილის იმგვარად დაზიანების შემთხვევაში თუ მან შეძლო გარბენის დასრულება, ავტომობილი უნდა წარედგინოს ტექნიკურ კომისარს ან ტექნიკურ შემმოწმებელს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მისი შემდგომ გარბენზე დაშვების ან არ დაშვების შესახებ;

1.6. ტექნიკური ინსპექცია წარმოებს თაიმ ატაკი-ს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

2. უსაფრთხოების აღჭურვილობა

2.1. ავტომობილის აღჭურვილობა

2.1.1. უსაფრთხოების ყველა კვანძი (სავარძლები, უსაფრთხოების ღვედები და ა.შ.) უნდა იყოს სულ მცირე, ქარხნული კომპლექტაციის და აკმაყოფილებდეს შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს

2.1.2. რბოლის დროს მანქანიდან უნდა იყოს ამოღებული ყველა ის ნივთი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს უსაფრთხო რბოლას.

2.2. მრბოლელის აღჭურვილობა

2.2.1. მრბოლელების ეკიპირება უნდა შეესაბამებოდეს შეჯიბრების ტექნიკურ მოთხოვნებს და ტექნიკური კომისიის განკარგულებებს. საკითხის თანხვედრის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლო რედაქციით შექმნილ დოკუმენტს.

2.2.2. რბოლის დროს მანქანაში უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ მრბოლელი.

2.2.3. მრბოლელს უნდა ეხუროს საავტომობილო, ან მოტო ჩაფხუტი და შეკრული ჰქონდეს უსაფრთხოების ღვედი.

2.3. გაყვანილობა

2.3.1. საწვავის, ზეთის და მუხრუჭის ხაზები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან.

2.3.2. საწვავის ავზის ან საწვავთან დაკავშირებული დამატებითი კომპონენტების საბარგულში განთავსების შემთხვევაში, საბარგული კოკპიტიდან ჰერმეტიკულად გამოყოფილი უნდა იყოს არა

აალებადი მასალით.

2.3.3. ელექტრო გაყვანილობის სადენები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან (მტვერი, წყალი, ქვები, ხანძარი).

2.4. უსაფრთხოების კარკასი

2.4.1. თაიმ ატაკის ტიპის შეჯიბრებაზე უსაფრთხოების კარკასი სავალდებულო არ არის.

2.5. მინები

2.5.1. ავტომობილის წინა საქარე და წინა გვერდითი მინები უნდა იყოს ქარხნული წარმოების.

2.5.2. ავტომობილის უკანა საქარე და უკანა გვერდითი მინები შესაძლოა შეცვლილი იქნას პოლიკარბონატით რომლის სისქეც იქნება არანაკლებ 4მმ.

2.5.3. დასაშვებია საქარე მინაზე მზისგან დამცავი ფირის გადაკვრა იმ შემთხვევაში თუ შიგნით მყოფ პირს თავისუფლად შეუძლია გარე არეალის (მანიშნებელი დროშების, შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და ა.შ.) დანახვა.

2.6. აკუმულატორი

2.6.1. აკუმულატორი მყარად უნდა იყოს დამაგრებული და მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებისაგან. (დან. J. 255.5.8.)

2.6.2. დასაშვებია აკუმულატორის არაქარხნულ ადგილას (პილოტის და მგზავრის სავარძლების უკან) გადატანა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მყარად იქნება დამაგრებული და დახურული იქნება დამცავი კონსტრუქციით(დან. J.255.5.8).

2.6.3. არაქარხნულ ადგილას აკუმულატორის გადატანის დროს, თუ აკუმულატორი არის

2.6.4. სითხიანი, ის აუცილებლად უნდა იყოს დაფარული სპეციალური ჰერმეტიკული ხუფით. ამავე დროს ამ ხუფს უნდა გააჩნდეს სადრენაჟო და სავენტილაციო მილები.

2.6.5. აკუმულატორის სამაგრი და დამცავი ხუფი დაფარული ან დამზადებული უნდა იყოს არა ელექტრო გამტარი მასალისაგან.

2.6.6. აკუმულატორის მარკა და ტევადობა , თავისუფალია.

2.6.7. ყველა აკუმულატორი უნდა იყოს დამაგრებული ისე მყარად რომ მისი კლემების ურთიერთ დამოკლება გამოირიცხოს.

3. ტექნიკური მოთხოვნები

3.1. საბურავები

3.1.1. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულ A კლასში საბურავების ტიპი არ იზღუდება.

3.1.2. მოცემული რეგლამენტით განსაზღვრულ B კლასში დასაშვებია საბურავები, რომელთა ცვეთის მიმართ მდგრადობის ინდექსი არ არის ნაკლები 180-ზე.

3.1.2. მოცემული რეგლამენტით განსაზღვრულ C კლასში დასაშვებია საბურავები, რომელთა ცვეთის მიმართ მდგრადობის ინდექსი არ არის ნაკლები 200-ზე.

3.1.2. მოცემული რეგლამენტით განსაზღვრულ D კლასში დასაშვებია საბურავები, რომელთა ცვეთის მიმართ მდგრადობის ინდექსი არ არის ნაკლები 200-ზე.

4. მაყუჩი და აირგამშვები სისტემა

4.1. მაყუჩის და აირგამშვები სისტემის მოდიფიცირება დასაშვებია ყველა კლასში.

4.2. აირგამშვები სისტემის დიამეტრი და მისი დეტალები თავისუფალია.

5. ძარა

5.1. ავტომობილის ძარას არ უნდა აკლდეს ქარხნული შემადგენელი ნაწილები. შესაძლებელია პლასტმასის დეკორატიული ნაწილების მოხსნა.

5.2. ავტომობილის ძარის ყველა აგრეგატი უნდა ასრულებდეს ქარხნულ დანიშნულებას. (ყველა კარი, ძრავის განყოფილების ხუფი და საბარგულის ხუფი უნდა იღებოდეს და იკეტებოდეს სხვა დამხმარე ხელსაწყოების გამოყენების გარეშე).

5.3. სავალდებულოა შეჯიბრებაში მონაწილე ძარიან ავტომობილზე გამართულად მუშაობდეს ფარები, მოხვევის მაჩვენებლები, მუხრუჭის სანათები და საქარე მინის საწმენდი.

5.4. სამოყვარულო და პროფესიონალურ კლასებში იკრძალება ქარხნულად დამონტაჟებული დეტალების და აგრეგატების გადაადგილება ისეთი ფორმით, რომელიც საფრთხეს უქმნის მრბოლელების, მარშალების, სხვა პერსონალის და მაყურებლების უსაფრთხოებას;

5.5. ავტომობილის დეტალების ნებისმიერი გადაადგილება მისი ქარხნული მიმდგრების წერტილებიდან ინსპექტირებული და ნებადართული უნდა იყოს რბოლის ტექნიკური კომისიის მიერ.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს ინციდენტის გამო აკლია რაიმე დეტალი, სერვისის პერიოდში უნდა აღმოიფხვრას დაზიანება. ეკიპაჟი თუ ვერ აღადგენს ავტომობილის პირვანდელ სახეს, მრბოლელის მიერ რბოლის გაგრძელების საკითხს გადაწყვეტს შეჯიბრების კომისარი.

6. სამუხრუჭე სისტემა

6.1. სამუხრუჭე სისტემის მოდიფიკაცია დასაშვებია ყველა კლასში.

6.2. მოდიფიცირებული სამუხრუჭე სისტემის ეფექტურობა არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ქარხნულ სამუხრუჭე სისტემას.

დამტკიცებულია
საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის
ტექნიკური კომისიის მიერ